საგამოცდო ინსტრუქცია

სამაგისტრო პროგრამა – „დიპლომატია და საერთაშორისო პოლიტიკა“

ბაკალავრის ხარისხის მფლობელებმა, რომლებსაც სურთ სწავლა გააგრძელონ სამაგისტრო პროგრამაზე – „დიპლომატია და საერთაშორისო პოლიტიკა“ უნდა გაითვალისწინონ შემდეგი:

- საგამოცდოდ უნდა მომზადებული იქნას შემდეგი ლიტერატურა:
  - ალექსანდრე რონდელი: საერთაშორისო ურთიერთობები, გამომცემლობა ნეკერი, 2004
  - ჰენრი კისინჯერი: დიპლომატია. ნებისმიერი გამოცემა ნებისმიერ ენაზე

- გამოცდის ხანგრძლივობა იქნება 3.5 საათი.

- გამოცდა შედგება ხუთი ნაწილისაგან (ტექსტის ანალიზი, მონაცემების ანალიზი, არგუმენტირებული ესე, თეორიული საკითხის ცოდნა, საგარეო–პოლიტიკური დოკუმენტის ანალიზი). გამოცდა ფასდება 100 ქულით.

- ქულების გადანაწილება გამოცდის კომპონენტების მიხედვით არის შემდეგი:
  - ტექსტის ანალიზი – 20
  - მონაცემების ანალიზი – 10
  - არგუმენტირებული ესე – 20
  - თეორიული საკითხის ცოდნა – 20
  - საგარეო–პოლიტიკური დოკუმენტის ანალიზი – 30

- გამოცდის კომპონენტების დახასიათება:
  - პირველ ნაწილში (ტექსტის ანალიზი) თქვენ უნდა გააანალიზოთ თქვენს წინაშე არსებული ორი მცირე მოცულობის ტექსტი, და გასცეთ პასუხები ტექსტიდან გამომდინარე კითხვებს. ეს ტექსტები, სავარაუდოდ, იქნება ამონარიდები ჰენრი კისინჯერის „დიპლომატიიდან“. თუმცა, ნაწილი ტექსტებისა იქნება სხვა, უცხო წყაროდან. ეს კომპონენტი მიზნად ისახავს შეამოწმოს, თუ რამდენად შესწევს სტუდენტს ძალა წაიკითხოს უცნობი ტექსტი საერთაშორისო ურთიერთობების შესახებ უცხო ენაზე და გამოიტანოს იქედან შესაბამისი დასკვნები
  - მეორე ნაწილში (მონაცემების ანალიზი) თქვენს წინაშე იქნება რამდენიმე გრაფიკი და ცხრილი შესაბამისი კითხვებით, რომლებიც მოითხოვს გრაფებსა და ცხრილში მოცემული რაოდენობრივი მონაცემების ანალიზს. სტუდენტმა უნდა შეძლოს გრაფიკის გაანალიზება და სხვადასხვა მონაცემების (მაგ. ამა თუ იმ ქვეყნის სამხედრო ბიუჯეტის) ზრდის, ან შემცირების ასახვა როგორც აბსოლუტურ სიდიდეებში, ისე პროცენტებში.
  - მესამე ნაწილში, თქვენ უნდა დაწეროთ არგუმენტირებული ესე საერთაშორისო ურთიერთობების რომელიმე აქტუალური საკითხის შესახებ. საგამოცდო ფურცელზე მოცემული იქნება ამ თემის ჩარჩო–მონახაზი. თქვენ უნდა განავრცოთ იგი. შეიძლება თქვენ არ ეთანხმებოდეთ მოცემული თემაში განვითარებულ აზრებს, თუმცა, მიუხედავად თქვენი პოზიციისა, მოგიწევთ თქვენთვის შემოთავაზებული პოზიციის დაკავება და ამ პოზიციის არგუმენტირება (მაგ. არგუმენტირება იმისა, რომ სიკვდილით დასჯა ეფექტურია)
  - მეოთხე ნაწილში თქვენ უნდა გამოავლინოთ საერთაშორისო ურთიერთობებისათვის რელევანტური თეორიული ან/და ისტორიული საკითხის ცოდნა. ამ ნაწილისათვის მოსამზადებლად საკმარისია ალ. რონდელის „საერთაშორისო ურთიერთობების“ კარგად გაცნობა.
  - მეხუთე ნაწილში თქვენ უნდა გააანალიზოთ და ერთმანეთს შეადაროთ ორი ქართულენოვანი ტექსტი საქართველოს საგარეო პოლიტიკის შესახებ. მაგალითად, თქვენ შეიძლება მოგიწიოთ საქართველოს საგარეო პოლიტიკის შედარება სუამ–ის ქვეყნებთან მიმართებასი 2006–2009 წლებში. თქვენი ანალიზი უნდა დაემყაროს იმ ტექსტებს, რომელიც თქვენს წინაშე იქნება, ასევე თქვენს ზოგად ცოდნას.